ია გელაშვილი- ასოცირებული პროფესორი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ელ-ფოსტა:
iagel2805@gmail.com

ეკოტურიზმის აუცილებლობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები საქართველოში

აბსტრაქტი

მსოფლიოში მიმდინარე ბოლოდროინდელმა პროცესებმა კრიზისული პრობლემები წარმოშვა ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. კლიმატის შეცვლამ, ეკოსისტემის რღვევამ, გარემოს დაბინძურებამ, სასმელი წყლის დეფიციტმა, ეთნოკონფლიქტებმა და ა.შ. დღის წესრიგში დააყენა ადამიანთა განტვირთვისა და გაჯანსაღების აუცილებლობა, რაც თავის მხრივ გულისხმობს ეკოტურიზმის სწრაფ და დაჩქარებულ განვითარებას. ჩვენს ქვეყანას ამ კუთხით განვითარებისთვის გააჩნია ყველა პირობა და მოცემულობა. მთავარია მოხდეს არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების გონივრული და მიზანმიმართული გამოყენება, ინფრასტრუქტურული პროექტების სრულყოფა და ქვეყნის პოპულარიზაცია. ამ საქმეში უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია ისევ და ისევ სახელმწიფოსა და თითოეულ ჩვენგანს, რამე თუ ეკოტურიზმის მთავარი პრინციპი მდგომარეობს გარემოს დაცვასა და მის შენარჩუნებაში, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას.

საკვანძო სიტყვები : მწვანე ტურიზმი, ეკოსოფლები, ეკოტურისტი.

Ia Gelashvili – Associate Professor
LEPL Samtskhe-Javakheti State University
The Faculty of Business Administration
e-mail: iagel2805@gmail.com

The Necessity of Eco-tourism, Problems and Future Prosepctives in Georgia

An Abstract

The recent global processes have created crisis problems from an ecological and environmental point of view. Climate change, ecosystem destruction, environmental pollution, drinking water shortage, ethno-conflicts, etc. put on the agenda the need for people to relax and get healthy, which in turn implies the rapid and accelerated development of ecotourism. Our country has all conditions for development in this regard. To make reasonable and purposeful use of existing resources and opportunities, to complete infrastructure projects and to promote the country are crucial. Again and again, the state and each of us can make the greatest contribution to this work, because the main principle of ecotourism is the protection and preservation of the environment, which in turn ensures the well-being of the local population.

Key words: Green Tourim, Eco-village, Eco-tourism

შესავალი

XXI-ე საუკუნის დასაწყისში ტურიზმის სფერო მნიშვნელოვნად განვითარდა, რაც არაერთხელ აღინიშნა და გახდა მეცნიერთა თუ ექსპერტთა განხილვის საგანი. მსოფლიო ექსპერტების შეფასებით ტურიზმი მესამე ადგილს იკავებს მსოფლიოში იმ ეფექტიან დარგებს შორის, როგორიცაა მანქანათმშენებლობა და ნავთობმომპოვებელი დარგები. უკანასკნელი წლების (მტო), მონაცემებით ტურიზმის დარგში წლიური ბრუნვა მსოფლიოში 4 ტრლ. დოლარს მიუახლოვდა და უზრუნვცელყოფს საერთაშორისო ინვესტიციების 11%-ზე მეტს (https://csgeorgia.org/storage/app/uploads/publis/scd/dd6/b1b/5cdd6/b1be2d6803501375.pdf)

ტურიზმის წარმატებული განვითარება და გარემოს დაცვა განუყოფელია, მას შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ბუნების დაცვით ღონისძიებებსა და სუბსიდირებაში. მსოფლიოში მიმდინარე ბოლოდროინდელმა პროცესებმა კრიზისული პროცესები წარმოშვა ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. კლიმატის სერიოზულმა ცვლილებებმა დიდი ზემოქმედება მოახდინა ადამიანის სამეურნეო საქმიანობაზე. (ლოლუა დ, ალადაშვილი მ... (2020). 171-178).

დღევანდელ პირობებში მეტ აქტუალობას იძენს მდგრადი ტურიზმის განვითარება და მისი ხელშემწყობი ყველა პირობა და მოცემულობა. ეკოლოგიურმა კატასტროფებმა, ეთნოკონფლიქტებმა, ომებმა, ცხოვრების დაჩქარებულმა რიტმმა, და ა.შ. დღის წესრიგში დააყენა ადამიანის განტვირთვისა და გაჯანსაღების აუცილებლობა.მნიშვნელოვანი ყურადღების ცენტრში მოექცა ისეთი ინოვაციური ფორმების გამოყენება,

როგორიცაა:გართობა, დასვენება, ფიზიკური ძალების აღდგენა, მკურნალობა და ა.შ. **(https: //gnat.ge/wp – content/uploads/2016 /08/ - ტურიზმის - განვითარების - პერსპექტივები - საქართველოში - და - მსოფლიო - გამოცდილება. Pdf.).**

ძირითადი ნაწილი

ტურიზმი გამოირჩევა უარყოფითი ზემოქმედებით გარემოზე, ამიტომ ეკოტურიზმი სწორედ მის საწინააღმდეგოდ მიმართული დარგია, რომლის მთავარ მიზანს გარემოს დაცვა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდრეობა წარმოადგენს. **(კრებული - ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება 2016 წ.)**

ეკოტურიზმი მდგრადი ტურიზმის ის ელემენტია, რომელიც გულისხმობს შედარებით წყნარი ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებას, მათ შორის დაცულ ტერიტორიებზე. მიახლოებითი მაჩვენებლებითა და გაანგარიშებით ეკოტურიზმი 15-20 %- ითაა წარმოდგენილი საერთაშორისო ტურიზმში. **(გოგელია... 2011 ა; 418).**

ეკოტურიზმის მთავარი პრინციპი და არსი მდგომარეობს გარემოს დაცვასა და შენარჩუნებაში, იგი იძლევა დიდ საზოგადოებრივ სარგებელს და უზრუნველყოფს ინვესტიციებს. საქართველოში 2019 წელს 30-მდე ეკოტურისტული ატრაქცია შეიქმნა, რისთვისაც 2 მლზე მეტი ინვრესტიცია განხორციელდა, ამავე წელს პირველად განხორციელდა კერძო საერთაშორისო ინვესტიციები დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებაში და რამაც 40 მლნ.. ლარზე მეტი შეადგინა (https://sputNik – **georgia.com/tourism/20200130/247615540/ekoturismi-sagartvelosi-ra-gaketda-dargis-ganvitarebisvis-2019-wel. Html.)**

ეკოტურიზმის საერთასორისო ორგანიზაციის (The International Ecotourism Society-TIFS), განმარტებით ეკოტურიზმი არის „პასუხისმგებლობით აღსავსე მოგზაურობა ბუნებრივ ზონებსა და რეგიონებში, რომლის დროსაც ხდება გარემოს დაცვა და რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას“ (**https: //isoconsulting.ge/single-post/ ეკოტურიზმი -და - მისი - მნიშვნელობა).**

საქართველოსთვის ეკოტურიზმის განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქვცეყანა ფლობს უამრავ მთისა და ზღვის კურორტებს,ტყეებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს,დაცულ ტერიტორიებს და სხვ.საქართველოში მთავრობის უმაღლესმა წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი როლი მიანიჭეს მწვანე ეკონომიკას, რომლის მთავარი

ქვაკუთხედი კი არის -მწვანე ტურიზმი.მწვანე ტურიზმის ტურისტული პროდუქტი ბუნებასთან მაქსიმალური სიახლოვეა ტერიტორიული მახასიათებლების ჭრილში. (https://eugb.ge/uploads/content/#9/David-lolua. Pdf.)

საქართველოს ლანდშაფტი, ფლორა, ფაუნა და სხვ. წარმოადგენს მნიშვნელოვან პოტენციალს ეკოტურიზმის განვითარებისათვის. ეკოტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2018 წელს 8 536 125 ლარი შეადგინა და 87%-ით აღემატებოდა წინა წლის შემოსავალს. (**„ბუნების ყველაფერი 2018“ დაცული ტერიტორიების სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვის სააგენტო 2018).**

ეკოტურიზმში ტურისტების გახშირებულმა მიმოსვლებმა ხელი შეუწყო ველურ ბუნებასთან სიახლოვეს და ამ ადგილებში მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. **(ა. ოქროცვარიძე, მ. ვადაჭკორია, ლ. ოქროცვარიძე „ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი“, თბილისი 2011 წ.).**

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიხედვით გვაქვს ყველაზე მონახულებადი დაცული ტერიტორიების შესანიშნავი ჩამონათვალი 2019-2020 წლების მიხედვით.

დიაგრამა 1:



წყარო : დაცული ტერიტორიების სააგენტო 2;3.

2. https://apa.gov.ge/statistika/visitorta-statistika/visitorta-statistika-wlebis-mixedvit.

3. https://apa.gov.ge/ge/sttistika/visitorta-sttistika/2020-wlis-visitorta-statistika-daculi-teritoriebis-mixedvit.

ეკოტურიზმის კომპონენტებს შორის ძირითადად მოიაზრება:ბუნების შემეცნება,ეკოსისტემის შენარჩუნება და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების პატივისცემა.

(https:/ecotourism-world.com/)

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) შეიმუშავა სტანდარტები, რომელიც მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის ნორმალური განვითარებისათვის:

- ISO – 20121 - ღონისძიებების მდგრადი მენეჯმენტის სისტემა, რაც გვაძლევს საშუალებას დავგეგმოთ ტურისტული ღონისძიებები იმდაგვარად, რომ გარემოზე მოვახდინოთ მინიმალური ზემოქმედება.

- ISO – 21416 - წყალქვეშა ყვინთვის განვითარების შედეგად მოსალოდნელია წყლის დაბინძურება, ამიტომ ამ სტანდარტის დახმარებით შეგვიძლია ვისიამოვნოთ დაივინგით წყლის დაბინძურების გარეშე.
- ISO – 18065 - ეს სტანდარტი გვაძლევს საშუალებას თავიდან ავიცილოთ ისეთი შემთხვევები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ენდემურ ცხოველებსა და მცენარებს, ასევე წითელ წიგნში შეტანილ სახეობებს დაბინძურებული გარემოს მეშვეობით.

https://www.isoconsulting.ge/single-geoeconomics.ge/?p=849

ამავე სააგენტოს მონაცემებით, თუ ვიზიტორთა საერთო რაოდენობა 2007 წელს 7 714 ტურისტიდან 2019 წლამდე 11 99011 კაცამდე გაიზარდა, 2019 წლიდან 2020 წლამდე შემცირდა 112 612 კაცამდე, რაც თავისთვად გამოწვეული იყო პანდემიის გავლნით. უცხოელ ტურისტთა მოგზაურობის მთავარ მიზანს დასვენება, გართობა და რეკრეაცია წარმოადგენს, რასაც სწორედ ეკოტურიზმი უზრუნველყოფს.

„მდგრადი განვითარბის მიზნები“ 2015 წ-ში საუბარია ეკოსოფლების შექმნის შესახებ, რაც მაუწყებელია მწვანე ტურიზმის მაღალი დონით განვითარებისა. აქ ენერგეტიკის უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე მინიმუმამდე უნდა იქნეს შეზღუდული და გამოყენებული იყოს ენერგიის განახლებადი სისტემები, კერძოდ მზის ენერგეტიკა. ეკოსოფლებში უნდა განთავსდეს ეკო სახლები, სადაც დამონტაჟებული იქნება ეკოლოგიურად სუფთა და ბიომომუშავე წყლის გამათბობელი ავზები. აუცილებელია ბუნებაში შეიქმნას ნაგვის გადამამუშავებელი ტექნოლოგიები, კერძოდ ჩამოცვენილი ფოთლებისგან ბიოსაწვავი ბრიკეტების დამზადება, რომელიც ევროპაში ცნობილია „ევრობრიკეტის“ სახელწოდებით და გამოიყენება საწვავად. ასეთი „ფოთლის ეკო“ ბრიკეტი უწყვეტად იწვის 2-3 საათის განმავლობაში და იგი ათჯერ უფრო იაფია, ვიდრე ჩვეულებრივი საწვავი. ამიტომ მასზე მზარდი მოთხოვნაა ტურისტების მხრიდან.

https://openscience.ge/bitstream/1/767/kanchaveli%20gvantsa.pdf.

აუცილებელია ტურისტებისთვის კომფორტული და მიმზიდველი გარემოს შექმნა. ამისთვის მეტად აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინოს ბუნებრივი გარემო პირობების ავთენტურობის შენარჩუნებაზე და ამავე დროს პასუხობდეს მომსახურების მაღალ დონეს. ისეთ ადგილებში, სადაც ეკოტურისტები დადიან განვავითაროთ ინფრასტრუქტურა და გავაუმჯობესოთ ადგილობრივი მოსახლეობის სერვისები. ძალზედ საჭირო და აუცილებელია ეკოტურიზმში

მოსახლეობის ჩართულობა და განათლების დონის ამაღლება, მიეცეთ ადგილობრივებს სტიმული მეწარმეობის ამა თუ იმ ფორმით განვითარებისა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას კონკრეტულ ადგილებში. ავთენტურობის უკეთ შენარჩუნებისათვის აქცენტი უდა გაკეთდეს არა ახალ-ახალი სასტუმროების მშენებლობაზე, არამედ ტურისტების განთავსება მოხდეს მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობასთან საოჯხო სასტუმროებში. ეს კი საუკეთესო საშუალებას მისცემს მათ უკეთ ეზიარონ ბუნების საიდუმლოს, სილამაზეს და ადგილობრივ კულტურას.

მიმაჩნია, რომ აუცილებელია მეტი სიხშირით ჩატარდეს ტრენინგები ადგილობრივებთან, რომ სათანადოდ მოექცნენ ისინი ტურისტებს და მათ შორის ჩამოყალიბდეს ნორმალური და კეთილგანწყობილი ურთიერთობები. მომზადდეს გიდები, რომლის სიმწირესაც განვიცდით, თუმცა არსებობს გიდების ასოციაცია, სადაც ხდება გიდების მომზადება, კურსების გავლა მსურველთათვის და კვალიფიკაციის ამაღლება.

ეკოტურისმის მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციათა მიზნებსა და სურვილთაგან აღნიშვნის ღირსია და ამავდროულად მნიშვნელოვანი: ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა გარემოზე მიყენებული მინიმალური ზიანის პირობებში,საზოგადოებაში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება,რეგიონებში მოსახლეობის კეთილდღეობა,ინფორმაციული უზრუნველყოფა,მათი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების პოპულარიზაცია.

https://apa.gov.ge-დაცული ტერიტორიების სააგენტო.

თუკი ასეთი ცენტრები მრავლად იქნება, ეს უკეთ შეუწყობს ხელს ამ მიმართულებით დარგის განვითარებას და მოსახლეობის ინფორმირებულობას.ყოველწლიურად იზრდება დაცული ტერირორიების მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის და დასაქმებული ადამიანების რაოდენობა. 2017 წ. მონაცემებით მხოლოდ 5 დაცული ტერიტორიის ეფექტი საქართველოს ეკონომიკაში 87 მლნ. ლარს შეადგენდა.**https://apa.gov.ge/ge/media/nexs/axal-ekoturistul-obieqtebze-info-turi-gaimarTa. Page.**

აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან უკეთესი პირობების შექმნა, საკანონმდებლო ბაზის, სტრატეგიების გათვალისწინებით, რასაც შედეგად მოჰყვება ეფექტური მოგება ბიზნესში. მთავრობასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მეშვეობით შემუშავდა „საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2015“, რომელიც მოწოდებულია დარგში მომგებიანობისა და სამუშაო ადგილების გასაზრდელად.https://openscience.ge/bitstream/1/767/1/kanchaveli %20 **gvantca.pdf.**

აუცილებელია ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა,რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას.ამასთანავე უცხოური ინვესტიციებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა.ყველაფერ ამისთვის აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან.

2022 წ. ივნისის თვეში, ქვემო ქართლში , წალკის მუნიციპალიტეტში მდ. ხრამის ხეობაში გაიხსნა უნიკალური ტურისტული კომპლექსი- წალკის კანიონი, რომელიც დამთვალიერებლებს სთავაზობს შთამბეჭდავ სანახაობებს:-პანორამულ ხედებს, კასკადურ ჩანჩქერამდე მიმავალ ბილიკებს, ვიზიტორებისათვის კოტეჯებს და ა. შ. ხიდის შუაში მოწყობილია ორიგინალური ფორმის კაფე 200 მეტრის სიმაღლეზე. **(წყარო: „ახალი ეკოტურისტული სივრცე“**

კანიონზე მოწყობილი ზიპ- ბაიკი და საქანელა, რომელიც მოგზაურობას კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის.მიმდებარე ტერიტორიეზე აშენდა სასტუმროები და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა ბუნებრივი იერსახის შენარჩუნებით.ამ კანიონის ინვესტიცია ჯამში 120 000 000 ლარი დაჯდა და 250 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ფასების კუთხით „ბრილიანტის ხიდზე გასეირნება ასე გამოიყურება:

-3 წლამდე დამთვალიერებლებისათვის ხიდზე გასვლა უფასოა.

-3-12 წლამდე საქ. მოქალაქისთვის -19 ლარი.

-3-12 წლამდე უცხოელისთვის-34 ლარი.

-საქ. მოქალაქისთვის 29 ლარი.

-უცხოელი ვიზიტორისტვის 49 ლარი.

რაც შეეხება დამატებით მომსახურებას:

-ბაიკლაინის მოყვარულთათვის-120 ლარი.

-ერთადგილიანი საქანელა-180 ლარი.

-სამადგილიანი-150 ლარი

-ღამისთევა კოტეჯებში-150 ლარი. https://bpn. **ge/article/96403-ra-girs—dashbashis-kanionze-shesvla/.**

კანიონის ტერიტორიაზე 2024 წლამდე გათვალისწინებულია მოეწყოს დახურული აკვაპარკი, 50-მდე ვილა და 53 ნომრიანი სატუმრო. ასევე სხვადასხვა სოციალური სივრცეების, ბავშვთა გასართობი კუთხის და სასეირნო ბილიკების მოწყობა.პროექტის ბიუჯეტი 60-70-მლნ.

ლარია. https://sputnik-georgia.com/20230508/dasbasis-kanionis-susis-xidi- droebit-iketeba-277458541.html.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების კუთხით ყველანაირი პირობა არსებობს, საჭიროა ამ მიმართულებთ დავსახოთ სამომავლო პერსპექტივებიც. პირველ რიგში საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ინფრასტრუქტურაზე, ბანერებზე,გზის მანიშნობელებზე, აუცილებელი მოთხოვნილების საჭიროებებზე, სამედიცინო და საპიკნიკე პუნქტებზე, კვების ობიექტებზე, სატუმროებზე (სასტუმროებთან და კაფეებთან ერთად), გიდების ინსტიტუტზე, პროფესიონალ კადრებზე, ენის ბარიერებზე და ა. შ.

აღნიშვნის ღირსია სახელმწიფოს როლი და ჩართულობა ამ კუთხით, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დარგის განვითარებისთვის, უსაფრთხოების კუთხით გვაქვს უამრავი პრობლემა, რომელიც სახელმწიფოს გადასაჭრელია ისევ და ისევ. გზებზე აუცილებელია იყოს ქვის ცვენის საწინააღმდეგო ბადეები, ჯებირები, ბილიკები, და ა. შ. დასარეგულირებელია აუცილებლად ფასებთან დაკავშირებული საკითხებიც. არ შეიძლება ძალიან მაღალი ფასები და მასში განსხვავებულობა გარე და შიდა ვიზიტორებზე. თუნდაც დაშბაშის კანიონის მაგალითი საკმარისია იმისათვის, რომ თვალნათლივ დავინახოთ ეს განსხვავება. ჩემთვის არაა მისაღები არც ასეთი მაღალი ფასები და არც განსხვავებულობა. ასეთი ფასების პირობებში ვერცერთ ვიზიტორს ვერ მოვიზიდავთ, პირიქით, დავაფრთხობთ და მეორედ მოსვლის სურვილიც აღარ ექნება. აუცილებლობად მიმაჩნია, ტურიზმის სფეროში მომუშავე კადრებმა იცოდნენ უცხო ენა. ნებისმიერი ადამიანი დაინტერესდეს, როგორც შეუძლია პოპულარიზაცია გაუკეთოს თავის ქვეყანას. ამისთვის ძალიან კარგი საშუალებაა: ვიდეორგოლები სატელევიზიო ეთერებში, საერთაშორისო გამოფენები, სარეკლამო ბანერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამ საქმეში უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია კერძო სექტორს, ტურისტულ კომპანიებს, სატუმროებს, ბლოგერებს და ა.შ.

„საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030“-ში ნათქვამია, რომ იგეგმება გარემოსდაცვით განათლებასა და/ან გიდობისთვის გადამზადებულ პირთა რაოდენობის ზრდა 2025 წლისთვის 38-დან 70- მდე, ხოლო 2030 წლისთვის 90- მდე. გარდა ამისა, მიზნად დასახულია, რომ ეროვნული პარკების ვიზიტორთა რიცხვი თუ 2019 წლისთვის შეადგენდა 199011-ს, 2025წ. ეს მაჩვენებელი -1500 000-მდე, ხოლო 2030წ.---1 900 000-მდე უნდა

გაიზარდოს. კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომლის გაზრდაც იგეგმება, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში ვიზიტორთა რაოდენობაა.

ა) 2019წ.-329 653 (308 291 საერთ; 21 362 შიდა) ვიზიტორი იმყოფებოდა.

ბ) 2025წ-მდე-360 000-მდე, ხოლო

3) 2030წ-მდე-400 000-მდე უნდა გაიზარდოს. https://bm.ge/news/2030-wlistvis-saqrtvelo-wamyvani-ekoturistuli-qveyana-iqneba-strategiis-5-mizani/93638/.

ვიმედოვნებ და დიდი სურვილი მაქვს, რომ გამართლდება ყველა ის პროგნოზი და სამომავლო ხედვა, რომელიც აქვს „საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030“-ს და სადაც კიდევ ერთხელ ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ სწორედ საქართველო იქნება წამყვანი ქვეყანა კავკასიის რეგიონში ეკოტურისტული მიმართულებით და სწორედ ის უზრუნველყოფს ტურისტებისათვის მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1) ლოლუა დ. ალადაშვილი მ.(2020) მწვანე ტურიზმი-მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #9, გვ. 171-178. https://dio.org/10.35945/gb.2020.09.021.

2) ა. ოქროცვარიძე, მ. ვადაჭკორია, ლ. ოქროცვარიძე „ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი“, თბილისი 2011 წ.

3) გ. ყანჩაველი, „ეკოტურიზმი საქართველოში“-სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი 2019 წ.

4) კრებული-„ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება“, თბილისი 2016 წ.

5) მდგრადი ტურიზმი: „ეკონომიკა და ბიზნესი“. III სართაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 2-3 ივნისი, ბათუმი, 2012 წ.

6) https://bsu.edu. Ge/text-files/ge-file-3292-1.pdf.

7) https://1tv.ge/video/dashbashis-kanioni-akhali-turistuli-kompleqsi/.

8)https://gnta.ge/wp-content/uploads/2016/08 ტურიზმის-განვითარების- პერსპექტივები-საქართველოში-და-მსოფლიო-გამოცდილება.pdf